სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის

2023 წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულება.....4

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა..... 4

ზოგადი განათლების მიმართულება.....4

სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება..... 4

ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება და საბაზო/სრული ზოგადი განათლების ატესტატების/ატესტატების დუბლიკატების გაცემა..... 5

სახელობო განათლების სერტიფიკატებისა და საშუალო პროფესიული დიპლომის დუბლიკატების გაცემა..... 6

პირველკლასელთა რეგისტრაციის უზრუნველყოფა 6

ექსტერნატის გამოცდების უზრუნველყოფა 6

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული პროცესების უზრუნველყოფა 7

საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირება 7

ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) ფუნქციონალის განსაზღვრა..... 8

სკოლის ელექტრონული ჟურნალი..... 8

სკოლების ვებ გვერდი - skolebi.emis.ge 9

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამა 9

„ვიზუალური ნოველა“..... 9

კოდინგის საიტი..... 9

პროფესიული განათლების მიმართულება.....10

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა..... 10

E-VET.EMIS.GE..... 10

პროფესიული განათლების დაფინანსება 11

პროფესიულ პროგრამაზე მიღება და რეგისტრაცია..... 11

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სისტემის ადმინისტრირება 11

უმაღლესი განათლების მიმართულება.....12

უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირება და გაუმჯობესება 12

სტუდენტთა მობილობა..... 13

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე მიღების გამოცხადების ადმინისტრირება..... 14

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გაანგარიშების ადმინისტრირება და დაფინანსების მინიჭების პროცესის მხარდაჭერა..... 15

განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების/მიღებული განათლების აღიარების პროცესის მხარდაჭერა და ციფრული არქივი..... 17

სტატისტიკის მიმართულება.....18

ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულება.....20

კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მიმართლება.....21

სხვადასხვა სამუშაო პროცესები.....22

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულება

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, შეიქმნა დაწესებულებათა პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც პირველად აღირიცხა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი როგორც კერძო და საჯარო, ასევე - ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით მოქმედი დაწესებულებები. რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე დაიგეგმა დაწესებულებების ავტორიზაციის განრიგი. ამასთან, სისტემაში დღემდე გრძელდება ინფორმაციის შეგროვება მოქმედი დაწესებულებების მიერ საქმიანობის განხორციელების ადგილის (ფილიალი) დამატებისა ან შეცვლის შესახებ.

ზოგადი განათლების მიმართულება

სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის გამოცხადებისთანავე, განხორციელდა ახალი გრიფირების ელექტრონული სისტემის შექმნა აქტებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. პოტენციურ განმცხადებლებთან (ავტორებთან) ჩატარდა სემინარი გრიფირების ელექტრონული სისტემის მოხმარების საკითხებზე. გრიფირების პროცესი ჩატარდა დაწყებით და საშუალო საფეხურებზე.

გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭების მოთხოვნის შესახებ დარეგისტრირდა 131 განაცხადი. სახელმძღვანელოების რეცენზირების პროცესის უზრუნველყოფისათვის, მასწავლებლებისა და დარგის მეცნიერების შერჩევის მიზნით, გამოცხადდა კონკურსი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოწოდებული დამტკიცებული სიის შესაბამისად, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები შერჩეულ რეცენზენტებთან. რეცენზენტებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგი რეცენზირების წესსა და გრიფირების ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათ მიერ განსახორციელებელ ყველა ქმედებასთან დაკავშირებით, შეიქმნა შესაბამისი ინსტრუქციები.

განმცხადებლების (ავტორების) გრიფირების პროცესში მაქსიმალური ჩართვისა და კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, გამოიყო სპეციალური ცხელი ხაზის ნომერი. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების შეხვედრები (სახელმძღვანელოების განხილვა) წარიმართა ონლაინ რეჟიმში, რისთვისაც რეცენზენტებს Microsoft Teams-ში შეექმნათ მომხმარებლები (User) და ჩაუტარდათ ტრენინგი Microsoft Teams-ის გამოყენებასთან დაკავშირებით, შეიქმნა სატესტო ჯგუფები, ასევე - შესაბამისი

ვირტუალური სამუშაო ჯგუფები. უზრუნველყოფილ იქნა რეცენზირების მეორე ეტაპზე გადასული განმცხადებლებისა და სახელმძღვანელოს ავტორების/გამომცემლობების ონლაინ შეხვედრები Microsoft Teams-ის მეშვეობით, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა სახელმძღვანელოების დახვეწა/გაუმჯობესებაზე. სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭების მიზნით, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარედგინა საშუალო საფეხურზე 26 განაცხადი, ხოლო დაწყებით საფეხურზე - 45 განაცხადი. რომელთაც წარმატებით გადალახეს გრიფირების პროცესის ყველა ეტაპი. მათთვის გრიფის მინიჭების შემდგომ კი, შემოწმდა სახელმძღვანელოების დიზაინი და განმცხადებლებს (ავტორებს) მიეცათ სავალდებულო მითითებები დიზაინის გამოსწორების მიზნით. გრიფირებული სახელმძღვანელოები, განმცხადებლების (ავტორების) მიერ მოწოდებული ფორმატის შესაბამისად, ასარჩევად წარედგინათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, ხოლო შერჩევის პროცესის დასრულების შემდგომ, შედეგები, მათი ბეჭდვის მიზნებისათვის, გადაეგზავნა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა აქტიურად იყო ჩართული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას პროცესის მარეგულირებელი შესაბამისი აქტების დახვეწაში.

ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება და საბაზო/სრული ზოგადი განათლების ატესტატების/ატესტატების დუბლიკატების გაცემა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 2022-2023 სასწავლო წლის საბაზო და სრულის ზოგადი განათლების კურსდამთავრებულთათვის საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების - ატესტატების გაცემის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებებიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რომელიც დამუშავდა და აისახა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, კერძოდ სრული ზოგადი განათლების ატესტატის უფლებამოპოვებული 48 167 მოსწავლე და საბაზო ზოგადი განათლების ატესტატის უფლებამოპოვებული 46 389 მოსწავლე.

რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების მიზნით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემების საფუძველზე, მიეწოდა ინფორმაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული იმ აბიტურიენტების შესახებ, რომელთაც მოპოვებული აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მიღების უფლება.

საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის საბჭოსთან შეთანხმდა და დამტკიცდა საბაზო და სრული ზოგადი განათლების ატესტატების ბლანკები, რაც შემდგომ გადაეცა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ამასთან, მთელი წლის მანძილზე, იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთაც ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს 2011 წლამდე და საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების ატესტატის დუბლიკატის მოთხოვნით მიმართეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ჩატარდა შესაბამისი წარმოება ჯამში 2 615 განაცხადთან დაკავშირებით და განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

გაგრძელდა საბაზო და/ან სრული ზოგადი განათლების ატესტატის ელექტრონული ასლის გაცემის პროცესიც, ატესტატის ელექტრონული ასლი არის ორიგინალი დოკუმენტის ასლი, რომელიც ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტია.

სახელობო განათლების სერტიფიკატებისა და საშუალო პროფესიული დიპლომის დუბლიკატების გაცემა

საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის საბჭოსთან შეთანხმდა და დამტკიცდა საშუალო პროფესიული დიპლომისა და სახელობო განათლების სერტიფიკატის დუბლიკატები. მთელი წლის განმავლობაში, იმ დაინტერესებული პირების განაცხადების საფუძველზე, რომელთაც 2009-2010 სასწავლო წლის ჩათვლით დაასრულეს დაწყებითი პროფესიული, ხოლო 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა დაუზიანდათ ან დაეკარგათ შესაბამისი დიპლომი, ჩატარდა შესაბამისი წარმოება და გაიცა 27 ცალი სახელობო განათლების სერტიფიკატისა და 140 ცალი საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატები.

პირველკლასელთა რეგისტრაციის უზრუნველყოფა

საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაციის მიზნებისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეცხადებინათ მისაღები პირველკლასელი მოსწავლეების, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილი მინიმალური ლიმიტები. პირველკლასელთა რეგისტრაცია წარიმართა 4 ეტაპად. 2023-2024 სასწავლო წლისთვის საჯარო და კერძო სკოლის პირველ კლასში ჯამში დარეგისტრირდა 53 903 მოსწავლე, მათ შორის საჯარო სკოლაში 46 854 მოსწავლე, ხოლო კერძოში - 7049.

ექსტერნატის გამოცდების უზრუნველყოფა

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო მე-12 კლასში შემავალი საგნების - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება - ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ცენტრალიზებული ჩატარება ელექტრონული ფორმით, რისთვისაც საგამოცდო ცენტრებად წინასწარ შეარჩია სკოლები, აღნიშნულ სკოლებში გამართა ინტერნეტის ქსელი, მუდლის სისტემაში დაარეგისტრირა ექსტერნები და მომხმარებლების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრებს. ასევე, განახორციელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტიდან მოწოდებული ტესტების მუდლის სისტემაში ასახვა, ექსტერნატის გამოცდების დასრულების შემდგომ კი, შედეგები, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის გაცნობისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, წარუდგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. აღნიშნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა ჯამში 731 მოსწავლე.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული პროცესების უზრუნველყოფა

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მასწავლებლის ახალი პროფესიული საქაღალდის შექმნა. ამასთან. უზრუნველყო სქემაში ჩართული მასწავლებლებისათვის მინიჭებული სტატუსების სისტემაში ასახვა, ასევე - საქაღალდეების ადმინისტრირება, აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტების გამოქვეყნების, სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადების წარდგენის და უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებლების ჩატარებული საგნის გამოცდის შედეგების ასახვა.

საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირება

2023 წელს ჩატარდა საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირება. სერტიფიცირების პირველი ეტაპი - ტესტირება უზრუნველყო სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ საქართველოს მასშტაბით 49 საგამოცდო ცენტრში. სერტიფიცირების პირველ ეტაპზე დარეგისტრირდა 3205 დირექტორობის მსურველი, თუმცა ტესტირებაზე გამოცხადდა 1841 პირი. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო, საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ტესტირების ეტაპის ტესტირების შედეგებთან, ტესტურ დავალებათა სისწორესთან და პროცედურულ დარღვევასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვა. აღნიშნული მიზნით შექმნილმა საპრეტენზიო კომისიამ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, განიხილა შემოსული საპრეტენზიო განცხადები ტესტურ დავალებათა სისწორესთან და პროცედურულ დარღვევასთან დაკავშირებით.

სულ შემოსული 152 საპრეტენზიო განაცხადიდან, კომისიამ განუხილველად დატოვა ერთი განაცხადი - საპრეტენზიო განაცხადის განხილვის საფასურის გადაუხდელობის გამო, ხოლო ნაწილობრივ დააკმაყოფილა 84 განაცხადი, საიდანაც 50 აპელანტმა გადახალა ტესტირებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და გადავიდა შემდგომ ეტაპზე.

ტესტირების შედეგებისა და სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, გასაუბრებაზე დაიშვა ჯამში 805 დირექტორობის მსურველი, ხოლო საჯარო სკოლის დირექტორობის უფლების მოპოვების დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცა ჯამში 593 პირს.

საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე კონკურსი, საქართველოს მასშტაბით, გამოცხადებული იყო 2074 საჯარო სკოლაში. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენის მიზნით, დირექტორობის უფლების მქონე პირებმა სულ 1283 საჯარო სკოლაში გააკეთეს განაცხადი წარდგენაზე, ხოლო, 791 საჯარო სკოლაში არ გაკეთებულა არცერთი განაცხადი.

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის ასარჩევად, კომისიამ 927 კანდიდატი წარადგინა 918 საჯარო სკოლაში.

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოებმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 840 საჯარო სკოლაში 6 წლის ვადით აირჩიეს დირექტორი, რომლის

დადგენილი წესით რეგისტრაციაც უზრუნველყო სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ, ხოლო 78 საჯარო სკოლაში ვერ აირჩა.

ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (ESCHOOL) ფუნქციონალის განსაზღვრა

პროექტის - ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი – საქართველო (Georgia I2Q - Innovation, Inclusion and Quality Project) ფარგლებში, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) ფუნციონალის შექმნის მიზნით, საანგარიშო პერიოდში განახორციელდა ზოგადი განათლების მიმართულებით ჩართული სუბიექტების საჭიროებების იდენტიფიცირება დაკვირვების, ინტერვიუებისა და მეორადი ინფორმაციის დამუშავება-ანალიზის საფუძველზე. გამოვლენილი საჭიროებები აღიწერა და შეიქმნა სამუშაო დოკუმენტის პირველადი სახე, რაზედაც კვლავ გაგრძელდება აქტიური მუშაობა.

სკოლის ელექტრონული ჟურნალი

საანგარიშო პერიოდში სკოლის ელექტრონულ ჟურნალს დაემატა ახალი ფუნქციონალები კლასის დამრიგებლის ხედვის, გამოცდებისა და მონაცემების გვერდებზე. შეიქმნა/განვითარდა რესურსცენტრის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი ფუნქციონალი, რომელიც უზრუნველყოფს მარტივი ხელსაწყოების მეშვეობით ელ. ჟურნალის წარმოების მონიტორინგს. ამასთან, ფუნქციონალის დანერგვის ფარგლებში, შეიქმნა ტექსტური და ვიდეო ინსტრუქციები, ასევე დაინტერესებული პირებისთვის ჩატარდა ფუნქციონალის გამოყენებასთან დაკავშირებული ვებინარი.

ელ. ჟურნალის განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით, სოციალურ სივრცეში (Facebook) შეიქმნა ჯგუფი - „ელ. ჟურნალის განვითარების გუნდი“, რომელშიც, მოხალისეობრივად გაწევრიანებულები არიან საჯარო სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მასწავლებლები. აღსანიშნავია, რომ ჯგუფის წევრების ჩართულობა მნიშვნელოვან და პოზიტიურ როლს თამაშობს ელ. ჟურნალის ფუნქციონალის დახვეწაში. საანგარიშო პერიოდში, ტარდებოდა ონლაინ შეხვედრები გუნდის წევრებთან, რომლებიც მათ გამოცდილებასა და ემპირიულ დაკვირვებაზე დაყრდნობით, გვიზიარებდნენ ხედვებსა და შენიშვნებს, არსებული ფუნქციონალის განვითარებისა და ახალი ფუნქციონალის დამატების საკითხებზე.

2023 წლის მანძილზე მიმდინარეობდა სკოლის ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაციის შექმნა, რაც ემსახურება ელექტრონული ჟურნალით სარგებლობის გამარტივებას და უზრუნველყოფს სკოლის და მშობლის კიდევ უფრო მოქნილ კომუნიკაციას. ვინაიდან, აპლიკაციის მეშვეობით, მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, ასევე საკუთარი სმარტფონებიდან აღრიცხონ მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების მაჩვენებლები, ხოლო მშობლებისთვის მყისიერად მოხდება ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკუთარი შვილის/შვილების აქტივობების შესახებ შეტყობინების სახით.

სკოლების ვებ გვერდი - SKOLEBI.EMIS.GE

2023 წელს დაინერგა ერთიანი პორტალი skolebi.emis.ge, სადაც პირველ ეტაპზე, ყველა საჯარო სკოლას, მომავალში კი კერძო სკოლებსაც, აქვთ შესაძლებლობა საკუთარი სკოლის შესახებ ერთიან სივრცეში განათავსონ ინფორმაცია, სადაც ნებისმიერ მომხმარებელს, მათ შორის მშობლებსაც შესაძლებლობა ექნებათ თვალი ადევნონ სკოლის აქტივობებს. აღნიშნული პლატფორმა ასევე გამოიყენება სკოლების ავტორიზაციის მიზნებისთვის.

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამა

„ვიზუალური ნოველა“

წარმოადგენს დამხმარე რესურსს, საგნისთვის - „ჩვენი საქართველო“, რომელიც სხვადასხვა ჩატ-ბოტებისგან შემდგარი პორტალია. აღნიშნული პლატფორმა შესაძლოა გამოიყენებოდეს ასევე კომპლექსური დავალებებისთვის.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს რამდენიმე კუთხისთვის, კერძოდ - კახეთისთვის, სამეგრელოსთვის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისთვის და სამცხე-ჯავახეთისთვის შეიქმნა სპეციალური სცენარები და თითოეული კუთხისთვის დაიწერა 6 სცენა. თითოეულ სცენას აქვს სათანადო ილუსტრაცია და პერსონაჟი. ყოველი სცენარისთვის შექმნა შესაბამისი ჩატ-ბოტი.

კოდინგის საიტი

პროგრამირების შესასწავლი რესურსი მაღალკლასელებისთვის. აღნიშნული რესურსის მეშვეობით, შესაძლებელი იქნება Front-End Development-ის შესწავლა (CSS და HTML). მომხმარებელი შეძლებს საიტზე დარეგისტრირებას და სწავლის პროცესში საკუთარი პროგრესისთვის თვალის დევნებას. რესურსი შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან. დაინტერესებული პირები შეძლებენ კოდის დაწერას და შემოწმებას საიტზე. იქნება სავარჯიშოები და პრაქტიკული დავალებები. კურსის გავლის შემდგომ, საიტი ავტომატურად დააგენერირებს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს. საანგარიშო პერიოდში დაიწერა Javascript კურსის მასალა და აიტვირთა ვებ-გვერზე. განხორციელდა ვებ-გვერდის ფუნქციონალის მოდიფიცირება.

პროფესიული განათლების მიმართულება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებში“ 2022 წლის 14 თებერვლის N27/ნ ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილებები, შესაბამისად პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (E-vet.emis.ge) და სარეგისტრაციო სისტემაში (vet.emis.ge) განხორციელდა საჭირო ღონისძიებები, აღნიშნული ცვლილებები იმპლემენტაციისათვის.

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

E-VET.EMIS.GE

- საანგარიშო პერიოდში სისტემაში წარიმართა დაწესებულებების, პროგრამების, პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებული პერსონალის შესახებ მონაცემთა წარმოება და პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცესის მხარდაჭერა. ასევე, სახელმწიფოს მიერ პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის განხორციელებული სერვისების და პროექტების ხელშეწყობა; არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის განვითარების მიზნით წარიმართა შესაბამისი ღონისძიებები.

- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eVet) ადმინისტრირებისა და განვითარების კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ელექტრონული მოდულის მოდიფიცირება და ტესტირება. შერჩეულ, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს აღნიშნულ ფუნქციონალთან დაკავშირებით ჩაუტარდათ ტრენინგები და მიმდინარე პერიოდში ხდება მათ მიერ თვითშეფასების შედეგების ასახვა სისტემაში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის მიზნით; განახლდა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის განმსაზღვრელი გადაწყვეტილებების მოდული.

- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შეიქმნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების ადმინისტრირებისთვის საჭირო ფუნქციონალი. აღნიშნული ფუნქციონალის მეშვეობით 73 საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელდა ანკეტა-კითხვარის შევსება და 688 პროგრამაზე მიღების გამოცხადება. ხოლო გამოცხადებული თავისუფალი ადგილების რაოდენობა შეადგენდა - 16 068 (დამატებით, 1638 ადგილი სსსმ აპლიკანტებისთვის). ამავე ფუნქციონალის მეშვეობით მოხდა სარეგისტრაციო სისტემაში (vet.emis.ge) მონაცემების გადატანა, რეგისტრაციის პროცესისა და შერჩევის პროცედურების ადმინისტრირება; 2023 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 15 090 პროფესიული სტუდენტი.
- საანგარიშო პერიოდში პილოტირების რეჟიმში მოქმედებდა პროფესიული განათლების ელექტრონული ჟურნალი (onlinevet.emis.ge). ჟურნალის შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით შემუშავდა ბიზნეს პროცესების ტექნიკური დავალება.

პროფესიული განათლების დაფინანსება

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარიმართა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაანგარიშება. 2023 წელს, სისტემის მონაცემებში გაანგარიშებული მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ოდენობა შეადგენს - 67 688 958.95 ლარს.

პროფესიულ პროგრამაზე მიღება და რეგისტრაცია

- განახლდა სარეგისტრაციო სისტემაში (vet.emis.ge) მომხმარებელთა ავტორიზაციის წესი. კერძოდ, სისტემაში ავტორიზაცია შესაძლებელი გახდა მომხმარებლის პირადი ნომრის მითითებით და მობილური ტელეფონის ნომრის ვერიფიკაციის გზით. ასევე, გამარტივდა პაროლის აღდგენის წესი. 2023 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის პირველ ეტაპზე დარეგისტრირდა 27 891 აპლიკანტი, ხოლო დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით დარეგისტრირდა 2693 აპლიკანტი.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 22 ივნისის N748153 ბრძნების საფუძველზე, აპლიკანტთა შერჩევის პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მხარდაჭერის მიზნით, განხორციელდა საბაზო ზოგადი უნარების ტესტირებისთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და სისტემური ადმინისტრირება (https://assessment.emis.ge).

- საანგარიშო პერიოდში, მართვის სისტემამ შეიმუშავა პროფესიული განათლების ერთიანი ელექტრონული პლატფორმის კონცეფცია. პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა სარეგისტრაციო პლატფორმის განახლება და ახალი შესაძლებლობის მქონე ფუნქციონალის შექმნა. შესაბამისად, გაჩნდა საჭიროება მოხდეს პროფესიული განათლების vet.ge -ის პლატფორმაში არსებული მონაცემების ინტეგრაცია vet.emis.ge-ის სარეგისტრაციო სისტემასთან, რაც გაუადვილებს მომხმარებელს ჰქონდეს წვდომა მისთვის სასურველ და აუცილებელ ინფორმაციაზე.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სისტემის ადმინისტრირება

- წარიმართა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სისტემის ადმინისტრირება, იურიდიული პირებისა, პერსონალის, პროგრამებისა და ნაკადების შესახებ მონაცემების წარმოება და იურიდიული პირის მიერ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების/სისტემაში რეგისტრაციის პროცესის მხარდაჭერა. სისტემის შექმნიდან, დღემდე მიღება გამოცხადდა 1380-ზე მეტ ნაკადზე, ხოლო ჩარიცხულ მსმენელთა რაოდენობა შეადგენს - 17 700 ზე მეტს.

- მიმდინარეობდა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანის, მისაღები ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდისა და პროგრამაში განხორციელებული სხვა სახის ცვლილებების სისტემაში ასახვის პროცესის ავტომატიზაციისათვის საჭირო ფუნქციონალის ტესტირება. განახლდა მომზადება/გადამზადების პროგრამაზე ნაკადის შექმნის ფუნქციონალი და დაფინანსების ნაწილში დაემატა ნაწილობრივი დაფინანსების მოდული.

უმაღლესი განათლების მიმართულება

უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირება და გაუმჯობესება

- საანგარიშო წლის მანძილზე, უზრუნველყოფილი იქნა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებების მართვის სისტემაში ასახვა, შესაბამისად, განხორციელდა ინფორმაციის განახლება/დასუფთავება საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული პროფილებისა და მათ მიერ განხორციელებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ჭრილში. კერძოდ, მართვის სისტემაში ასახული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 261 გადაწყვეტილება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 9 გადაწყვეტილება. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში.

- უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით განსახორციელებელი პროცესების ეფექტური ადმინისტრირებისათვის, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის წესის შესაბამისად, განხორციელდა სამი გეგმიური მონიტორინგი, გაანალიზდა მონაცემები, განხორციელდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კომუნიკაცია, შესაბამისი მონაცემების დაზუსტების მიზნით.

- 11 300 - მდე პირზე დამუშავდა და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აისახა ინფორმაცია ფიზიკური პირისათვის სხვადასხვა მეთოდით სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე.

- სისტემატურად ხორციელდება სახელმწიფოს მიერ სტუდენტებისათვის განხორციელებული სხვადასხვა პროექტების ხელშეწყობა, (ID) ბარათების, სამგზავრო ბარათებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის სტუდენტური დაზღვევის ბენეფიციართა შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ახალი უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის - eUni-ს შექმნის მხარდაჭერა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საგანმანათლებლო პროგრამების და პერსონალის მოდულების შექმნისათვის, შესაბამისი ბიზნეს-პროცესის აღწერა, ტექნიკური დავალების ფორმირებისათვის.

- უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაემატა თავისუფალი ადგილების გამოთვლის მოდული, რომელიც, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმულის გამოყენებით უზრუნველყოფს მიმდინარე მდგომარეობით უსდ-ს თავისუფალი ადგილების გამოთვლას. მათ შორის, ამ მოდულში გათვალისწინებულია „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის №378 დადგენილებით საფუძველზე სტატუს აღდგენილი თითოეული სტუდენტის მონაცემების სისტემაში ასახვის შესაძლებლობა.

- უმაღლესი განათლების მიმართულებით მონაცემების დამუშავების, სტატისტიკის წარმოებისა და ანალიტიკის გაუმჯობესების მიზნით, Qlik სისტემის გამოყენებით შეიქმნა მონაცემთა ვიზუალიზაციის, დამუშავებისა და ექსპორტირების შესაძლებლობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების, სტუდენტების, დაფინანსების უფლების მინიჭების მონაცემებისა და სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო და პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ჭრილებში.

სტუდენტთა მობილობა

- 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის ფარგლებში, სპეციალური ანკეტა-კითხვარის მეშვეობით, მართვის სისტემამ დაადასტურა 47 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 799 პროგრამა.

- 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში სპეციალური ანკეტა-კითხვარის მეშვეობით, მართვის სისტემამ დაადასტურა 52 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 909 პროგრამა.

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის პროცესების ადმინისტრირება და პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების ხელშეწყობა. კერძოდ: მობილობის ელექტრონული პორტალის მომსახურებით ისარგებლა 2 452 მობილობის მსურველმა სტუდენტმა, მობილობით გადასვლის უფლება მოიპოვა 2 121 სტუდენტმა, ხოლო ჩარიცხვის შესახებ დასკვნა გაიცა 1798 სტუდენტზე; 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ელექტრონული პორტალის მომსახურებით ისარგებლა 5 818 მობილობის მსურველმა სტუდენტმა, მობილობით გადასვლის უფლება მოიპოვა 4 484 სტუდენტმა, ხოლო ჩარიცხვის შესახებ დასკვნა გაიცა 3 494 სტუდენტზე.

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამისა და შპს ალტე უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის რიგგარეშე მობილობის ადმინისტრირება და პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების ხელშეწყობა. კერძოდ: მართვის სისტემამ დაადასტურა 21 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 40 პროგრამა, ხოლო ჩარიცხვის შესახებ დასკვნა გაიცა 647 სტუდენტზე; შედეგები ასახული იქნა უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

- სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთათვის მობილობის ადმინისტრირების პროცესის "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, განხორციელდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა მობილობის ელექტრონული პორტალის ფუნქციონალის საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე მიღების გამოცხადების ადმინისტრირება

- 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით მიღების გამოცხადებისათვის, 61 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარების ფარგლებში, დამუშავდა, დადასტურდა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეწოდა 782 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

- 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების მიზნით, 1 დეკემბერს გაიხსნა ელექტრონული ანკეტა-კითხვარი, რომლითაც დაწესებულებები წარმოადგენენ 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით აბიტურიენტთა მიღებისთვის საჭირო მონაცემებს. 2024 წლის 10 იანვრამდე მართვის სისტემა უზრუნველყოფს ანკეტა-კითხვარის დადასტურებასა და დადასტურებული მონაცემებზე სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წვდომას დახურული ქსელით (VPN).

- 2023 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების მიზნით, 47 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარების ფარგლებში დამუშავდა და დადასტურდა 514 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

- აბიტურიენტთა ინფორმირებისა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წლის

პირველ აგვისტოს მიწოდებული იქნა ინფორმაცია 61 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 782 პროგრამის სტატუსის შესახებ.

- აბიტურიენტთა ინფორმირების მიზნით დამუშავდა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის მიწოდებული იქნა 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით აბიტურიენტთა მიღების მიზნით გამოცხადებული სავარაუდო საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე ინფორმაცია 61 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 729 პროგრამაზე.

- მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მისაღები პროგრამების წარმოდგენის მიზნით, შეიქმნა სპეციალური ელექტრონული ანკეტა-კითხვარი რომელიც გაიტესტა ანკეტა-კითხვარის რეალურ გარემოში ფუნქციონალური შემოწმებისათვის. ამასთან განხორციელდა კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებები 2024 წლისათვის მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების პროცესის სპეციალური ელექტრონული ანკეტა-კითხვარის მეშვეობით წარმართვის საფუძვლის შექმნის უზრუნველსაყოფად.

- 2023-2024 სასწავლო წლისათვის დადასტურდა და მიღება გამოცხადდა 19 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის მომზადების 26 საგანმანათლებლო პროგრამა.

- 2023-2024 სასწავლო წელს უსდ-ების მიერ მოწოდებულ იქნა მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე ჩარიცხული 1200 პირის შესახებ ინფორმაცია და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვამდე მათ მიერ ჩაბარებული საგნის გამოცდის შესახებ მონაცემები გადამოწმდა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გაანგარიშების ადმინისტრირება და დაფინანსების მინიჭების პროცესის მხარდაჭერა

- 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დაანგარიშდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია:
  - ✓ ბაკალავრიატის საფეხურზე 30697 სტუდენტის სწავლის საფასურის - 24,656,667.5 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
  - ✓ მაგისტრატურის საფეხურზე 1792 სტუდენტის სწავლის საფასურის - 2,011,875 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
  - ✓ მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 789 სტუდენტის სწავლის საფასურის - 885 475 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
  - ✓ ბაკალავრიატის საფეხურზე გამყოფი ხაზის 1487 სტუდენტის სწავლის საფასურის - 1 585 172 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.

- ✓ მაგისტრატურის საფეხურზე გამყოფი ხაზის 258 სტუდენტის სწავლის საფასურის - 283 625 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
- ✓ ბაკალავრიატის საფეხურზე კრედიტების დაგროვების საფუძველზე 34 სტუდენტის სწავლის საფასურის - 38250 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.

- 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2023 წლის 1/15 ნოემბრის მდგომარეობით დაანგარიშდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია:
  - ✓ ბაკალავრიატის საფეხურზე 32218 სტუდენტის სწავლის საფასურის - 25 950 825 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
  - ✓ მაგისტრატურის საფეხურზე 1973 სტუდენტის სწავლის საფასურის - 2 215 500 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
  - ✓ მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 1063 სტუდენტის სწავლის საფასურის - 1 195 375 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.
  - ✓ ბაკალავრიატის საფეხურზე კრედიტების დაგროვების საფუძველზე 1 სტუდენტის სწავლის საფასურის - 1125 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.

- 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დაანგარიშდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია 18994 სტუდენტის სწავლის საფასურის - 19,868,237.5 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.

- 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2023 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით დაანგარიშდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია 20 239 სტუდენტის სწავლის საფასურის - 21,341162.5 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე.

- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სწავლის გაგრძელების უფლება მინიჭებულ პირთათვის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების ხელშეწყობის მიზნით დამუშავებული იქნა ინფორმაცია 42 335 აბიტურიენტის შესახებ, მათ მიერ წარსულში გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ჭრილში.

- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2023 წლის საგრანტო კონკურსის შედეგად, კონკურსში მონაწილე პირებისათვის სახელმწიფო გრანტის მინიჭების/გაუმჯობესების მიზნით, დამუშავებულ იქნა ინფორმაცია 2 330 აბიტურიენტის შესახებ, ამ პირების მიერ მოპოვებული და გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის, ასევე იმ საგანმანათლებლო პროგრამების ჭრილში, რომელზეც ირიცხებიან კონკურსში მონაწილე პირები.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მინიჭების მიზნით ბაკალავრიატის საფეხურზე დამუშავებულ იქნა ინფორმაცია

4277 სტუდენტის თაობაზე, ხოლო სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მინიჭების მიზნით მაგისტრატურის საფეხურზე ასევე დამუშავებულ იქნა ინფორმაცია 139 სტუდენტის თაობაზე მათ მიერ მოპოვებული და გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და პროგრამების აკრედიტაციის ჭრილში.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სპეციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მინიჭების მიზნით ბაკალავრიატის საფეხურზე დამუშავებულ იქნა ინფორმაცია 55 სტუდენტის თაობაზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სპეციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მინიჭების მიზნით მაგისტრატურის საფეხურზე ასევე დამუშავებულ იქნა ინფორმაცია 14 სტუდენტის თაობაზე.

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მიერ მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების პროცესის ავტომატიზაციის მიზნით, სპეციალურ ელექტრონული პროგრამაში განხორციელდა არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, მონაცემთა დამუშავება და პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტა.

- პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში დაფინანსების პროცესის ავტომატიზაციის პროცესის გაუმჯობესებისათვის განხორციელდა არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა, შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, მონაცემთა დამუშავება და პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტა, ასევე დაემატა უნივერსიტეტებისთვის მონაცემთა ექსპორტირების ფუნქციონალი.

- დაფინანსების სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში, ადმინისტრატორის მხარეს დაემატა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტების ხანგრძლივობის ცვლილების ფუნქციონალი.

განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების/მიღებული განათლების აღიარების პროცესის მხარდაჭერა და ციფრული არქივი

- საქართველოში გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და საქართველოში მიღებული განათლების აღიარების ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე, სხვა დაინტერესებულ პირთა/ორგანიზაციათა მოთხოვნით, მომზადდა 800-ზე მეტი დასკვნა და სისტემატიურად მიმდინარეობს კორესპონდენციების მომზადება საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის მოძიების და დამუშავებისა და დაინტერესებული პირისთვის დასკვნის მომზადების ჭრილში.

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსების შესახებ შექმნილი ციფრული არქივის ხარვეზების აღმოფხვრა და ფუნქციონალური ველების დამატება. პლატფორმაზე ასახულია ინფორმაცია 780 საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ.

ციფრულ არქივში ასახულია 1 654 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც ახორციელებს 64 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ასატვირთად მომზადებულია 61 ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების და 14 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების 1 182 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსების შესახებ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და საბოლოო დასკვნების მომზადება ციფრული არქივისათვის შექმნილ პლატფორმაზე განსათავსებლად.

- უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ციფრულ არქივში ასახული ინფორმაციის განახლება ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების გადაწყვეტილებების შესაბამისად.

სტატისტიკის მიმართულება

საქართველოს განათლების სისტემაში საგანმანათლებლო სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ვაუჩერული დაფინანსების უზრუნველსაყოფად დამუშავდა შესაბამისი მონაცემები და დადგენილი წესის შესაბამისად ინფორმაცია მიეწოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

- საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით დადგენილი სტატუსის დანამატის ოდენობების განსაზღვრის მიზნით, ყოველთვიურად მუშავდებოდა მონაცემები და ინფორმაცია მიეწოდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.

- საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დაფინანსებისთვის საჭირო მონაცემები მუშავდებოდა ყოველთვიურად და მიეწოდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.

- საჯარო სკოლების ექიმების/ექთნების დაფინანსებისთვის საჭირო მონაცემები მუშავდებოდა ყოველთვიურად და მიეწოდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.

- საჯარო სკოლების ბილინგვური სწავლების სპეციალისტების დაფინანსებისთვის საჭირო მონაცემები მუშავდებოდა ყოველთვიურად და მიეწოდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.

- დადგენილი ვადების შესაბამისად მიმდინარეობდა განათლების სფეროში სახელმწიფო სოციალური პროგრამების ბენეფიციართა მონაცემების განახლება და შესაბამისი სტრუქტურებისთვის მიწოდება.

- თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის უფლებით სარგებლობის მიზნით, ყოველთვიურად მიეწოდება ინფორმაცია, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული საჯარო სკოლებში და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული პირების შესახებ.

- განათლების სისტემაში სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობისათვის მოქმედებდა მონაცემთა ანგარიშგებისა და ვიზუალიზაციის სისტემა - QlickSense, რაც უზრუნველყოფდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სრულ, ასევე პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამების ანალიტიკურ მონაცემებს. ამ სისტემის მეშვეობით წარმოჩინდა ასევე უმაღლესი განათლების საგრანტო დაფინანსების მონაცემები.

- მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის 2023 წლის პროგრამის ფარგლებში, შეფასდა 2023-24 სასწავლო წლისთვის ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა, არსებული მონაცემების საფუძველზე შეფასდა საჯარო სკოლებში საჭირო სახელმძღვანელოების სავარაუდო რაოდენობა კლასების მიხედვით. ასევე მომზადდა 2024-2025 სასწავლო წლისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სავარაუდო რაოდენობის პროგნოზული მაჩვენებლები.

- საანგარიშო წლის განმავლობაში, განათლების სისტემაში ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერების მიზნით, გრძელდებოდა მუშაობა სივრცითი ანალიზის კომპლექსურ ინსტრუმენტებზე და განათლების სისტემის ერთიანი გეო-საინფორმაციო სისტემის (GIS) ფორმირებაზე, სკოლების მეფინგის (mapping) ამოცანებზე და თემატური რუკების შექმნაზე, რაც უზრუნველყოფს სივრცითი და ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების ინფორმაციულ მხარდაჭერას და მოდელირებას. სკოლების საჯარო პორტალში მოხდა ვებ რუკების ინტეგრირება, რაც იძლევა სკოლების ადგილმდებარეობის და სკოლების გარშემო მყოფი მნიშვნელოვანი ობიექტების ციფრულ რუკაზე ნახვის საშუალებას. დამუშავდა და სრულად აისახა ციფრულ რუკაზე საბავშვო ბაღების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემები. შეიქმნა სკოლების ინფრასტრუქტურის და მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების ონლაინ ინტერაქტიული რუკა და საძიებო სისტემა; აიგო სამუშაო ვებ-რუკები რესურს სკოლებისა და სატელიტური სკოლების შერჩევის პროცესის მხარდასაჭერად; ჩატარდა სკოლების ტევადობის და 2024 წლისთვის მოსალოდნელი მოსწავლეების რაოდენობების შედარებითი ანალიზი, თბილისის რაიონების და უბნების დონეებზე.

- საანგარიშო წლის მანძილზე, გეგმიურად და მოთხოვნების შესაბამისად მუშავდებოდა და დაინტერესებულ პირებს მიეწოდებოდა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები.

- „სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N573 დადგენილებაში, 2023 წლის 15 აგვისტოს შესული ცვლილების შესაბამისად, განხორციელდა სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის მეორე ციკლის ფარგლებში ჩართულ უწყებებთან ინფორმაციის მიმოცვლა, რამდენჯერმე დამუშავდა სიები და შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

- ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისი სამოქმედო გეგმების ფარგლებში განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად, ხდებოდა მონაცემების დამუშავება და წარდგენა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე მაკოორდინირებელ უწყებებში.

ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულება

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- საანგარიშო პერიოდში, დაიწყო მართვის სისტემის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული იუმს-ის დანერგვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება. გაიწერა სისტემის დანერგვის ორივე ეტაპისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები, პასუხისმგებელი სუბიექტები და მტკიცებულებები.
- ორგანიზაციული კონტექსტის განსაზღვრის მიზნით, მართვის სისტემის სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციით შემუშავდა სპეციალური კითხვარი და იდენტიფიცირდა შიდა დაინტერესებული მხარეები, ხოლო მათგან მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, შეიქმნა გარე დაინტერესებული პირების ნუსხა, რომლებსაც მართვის სისტემა უწევს სერვისს ან რომელთაგან იღებს ამგვარ სერვისს. ნუსხის განსაზღვრის შემდეგ შემუშავდა კითხვარი გარე დაინტერესებული მხარეების მოლოდინების და საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის. ინფორმაცია დამუშავდა როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი, ისე სისტემის გარეთ მოქმედი 2000-მდე დაწესებულების კონტექსტში. მიმდინარე წლის დასრულებამდე, დაგეგმილია მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იუმს-ის გავრცელების სფეროს ამსახველი დოკუმენტის დამტკიცება მართვის სისტემის უფროსის ბრძანებით, დოკუმენტში ასახული იქნება, როგორც ორგანიზაციული კონტექსტი, ასევე საჭიროებები და მოლოდინები.
- მართვის სისტემაში დაინერგა პრივილეგირებული წვდომის მენეჯმენტის სისტემა (PAM), რომლითაც შესაძლებელია სენსიტიურ მონაცემებთან მომუშავე პერსონალის და კონტრაქტორების ქმედებების მონიტორინგი და კონტროლი;
- მუდმივად მოქმედებდა მართვის სისტემის შექმნილი, შესყიდული ან/და ადმინისტრირებადი მყოფი სერვისების კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობა, ტარდებოდა შეღწევადობის ტესტები.

- განხორციელდა მართვის სისტემის ქსელის, სერვერების და სერვისების მოწყვლადობის და ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.
- ხორციელდებოდა განათლების სისტემის ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ინფორმაციული უსაფრთხოების ზომების დაცვა და ცალკეულ მისამართებზე შემოსული ფიშინგის მეილებზე შესაბამისი რეაგირება (მომხმარებელთა ინფორმირება და კომპრომეტირებული ანგარიშების აღდგენა).
- განხორციელდა საფრთხეების აღმოჩენის და მართვის სისტემის მოდერნიზება და განახლება.
- გაფართოვდა სენსიტიურ მონაცემებზე პრივილეგირებული წვდომების მონიტორინგის არეალი.
- დაინერგა მართვის სისტემის ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის სისუსტეების აღმოჩენის და მართვის პრაქტიკა.

კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მიმართლება

საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და სასწავლო პროცესში მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- მონაცემთა ცენტრების მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელდა: ცენტრალიზებული მენეჯმენტისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა, ახალი სასერვერო კარადების, გაგრილების, სახანძრო სისტემების და უწყვეტი კვების წყაროების ინსტალაცია, მხარდაჭერა და განახლება. გამოთვლით და მონაცემთა სანახ სისტემებზე გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად განახლდა და გაიზარდა კრიტიკული სერვერული ინფრასტრუქტურის სიმძლავრეები, სრულად განახლდა არსებული ვირტუალიზაციის გარემოც. შესაბამისად, უზრუნველყოფილია მონაცემთა ცენტრში განთავსებული ინფორმაციისა და სერვისების უწყვეტად მიწოდების და უსაფრთხოების უფრო მაღალი გარანტიები.

- სანახი სისტემების განახლება: განხორციელდა Object Storage ს ინსტალაცია, გამართვა და არსებული პროექტების მიგრაცია.

- საჯარო სკოლების ელექტრონული ჟურნალის ოპტიმიზაციის კუთხით ხორციელდება ავტომატიზებულ, cloud native (openshift) სერვისებზე გადაყვანა/მხარდაჭერა.

- არსებული მონაცემების ეფექტური მართვა/შენახვის მიზნით განხორციელდა ახალი ფაილების სანახი სისტემის მოწყობა (DEL EMC Isilon).

- ავტომატიზირდა და მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი პროცესების ოპტიმიზაცია, როგორიცაა ელექტრონული ჟურნალის სინქრონიზაცია, მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია და სარეზერვო ასლების ახალი მეთოდით შექმნა და მონიტორინგი.

- გაზრდილ დატვირთვასა და ქსელურ მოთხოვნასთან გასამკლავებლად ჩატარდა რიგი სამუშაოები, კერძოდ: გარკვეულ შემთხვევაში გაორმაგდა საჯარო სკოლების ინტერნეტ კავშირებით: რადიო კავშირის შემთხვევაში - 30 მბ/წ-მდე, ხოლო ოპტიკურ ბოჭკოვანი კავშირის შემთხვევაში - 100 მბ/წ-მდე. ასევე, 1500-მდე გაიზარდა ოპტიკური კავშირების რაოდენობა.

- სკოლებში გაზრდილი ინტერნეტ სიჩქარის, საგამოცდო პროცესისა და მოსწავლეთა ბუკების მხარდაჭერის ფარგლებში განახლდა 500-მდე როუტერი და დამატებით გაიმართა შესაბამისი სპეციალიზირებული WiFi ქსელები.

- საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობის ქსელური ინფრასტრუქტურის სრული განახლება. ასევე, დაგეგმილია შენობის განახლებული ფლიგელის ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება.

- განათლების სისტემის სატელეფონო სერვისების ხარისხის ამაღლების მიზნით, ჩატარდა სატელეფონო ცხელი ხაზის ბილინგისა და ტელეფონიის სისტემების განახლება და ოპტიმიზირდა მხარდაჭერის პროცესი.

- Microsoft 365 სერვისების უწყვეტი მიწოდების ფარგლებში, საანგარიშო წლის მანძილზე მიმდინარეობდა მხარდაჭერის პროცესი, მათ შორის: პირველკლასელთა ბუკების რეგისტრაცია და მენეჯმენტი, Minecraft-ის ტრენინგების ტექნიკური მხარდაჭერა, Microsoft Azure ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა.

- ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით, საანგარიშო წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობდა - ცენტრალიზებული გამოცდების ორგანიზება და მხარდაჭერა საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში, პროდესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულელებებში; სამინისტროს, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-ებისა და საჯარო სკოლების IT სპეციალისტების, ქსელური და სისტემური ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა უწყვეტად, როგორც ფიზიკურად, ასევე დისტანციური სახით.

- საანგარიშო პერიოდში, ხორციელდებოდა პირველკლასელთა ბუკების გააქტიურების ავტომატიზებული სისტემის იმპლემენტაცია.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა IT ინციდენტების, მოთხოვნების, ცვლილებების და ინფრასტრუქტურის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა.

სხვადასხვა სამუშაო პროცესები

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საანგარიშო წლის მანძილზე მიმდინარეობდა დებულებითა და მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების რეგულარული შესრულება, მათ შორის ხორციელდებოდა:

- საანგარიშო პერიოდში მომზადდა ევროკავშირის გაფართოების პაკეტის ფარგლებში, განათლების მიმართულებით, ევროკავშირთან საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოების კუთხით განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ ანგარიში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპეტენციის გათვალისწინებით.

- საანგარიშო პერიოდში სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპეტენციის გათვალისწინებით დამუშავდა და შეივსო ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული კითხვარები, კერძოდ:
  - ✓ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) კითხვარები ღია საგანმანათლებლო რესურსების (OER) შესახებ რეკომენდაციის შესახებ;
  - ✓ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) 2023 წლის ფორმალური განათლების შესახებ კვლევის ფარგლებში, შესაბამისი კითხვარი;
  - ✓ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ხელოვნური ინტელექტის (AI) კითხვარი - სამთავრობო გამოყენება განათლებისთვის;
  - ✓ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) სამდივნოსგან შემოსული კითხვარი, რომლის მიზანიც გახლავთ გაეროს წევრი ქვეყნების მიერ 2022 წლის განათლების ტრანსფორმაციის სამიტზე (United Nations Transforming Education Summit (TES)) აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;
  - ✓ სამთავრობო პროგრამა - ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის (FCNM) მრჩეველთა კომიტეტის (ACFC) მიერ მოწოდებული კითხვარი;
  - ✓ 2021 წელს განხორციელებული თემატური მოკვლევის ფარგლებში, COVID-19 პანდემიის ზოგადი განათლების სისტემაზე გავლენის შეფასების კითხვარი.

- ადამიანური კაპიტალის პროექტის (HCP) ფარგლებში, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მიმდინარეობდა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშგება. ასევე პროექტის ფარგლებში განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა და შესრულებული სამუშაოს კვარტალური ანგარიშგება.

- იმ პირთა აღრიცხვა, რომლებსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ან/და კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოერთვათ პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების წარმოშობისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია.

- კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ერთეულებში, ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მათ

სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის დანერგვის/ადმინისტრირების მხარდაჭერა, კერძოდ:

- სისტემატურად მიმდინარეობდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eFlow) ჩართული დაწესებულებების მოთხოვნების საფუძველზე, მათი სტრუქტურული ცვლილებების ასახვა სისტემაში (ახალი თანამშრომლების რეგისტრაცია, გათავისუფლებული თანამშრომლების რეგისტრაციიდან მოხსნა, თანამდებობების ცვლილება, დოკუმენტებზე წვდომის უზრუნველყოფა, შესაბამისი ხედვების უზრუნველყოფა და ა.შ.).
- სისტემის ფუნქციონირების პროცესში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების იდენტიფიცირება და მართვა.

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, პროფესიული და უმაღლესი განათლების სამსახურის წარმომადგენლობით, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განათლების დარგობრივი საბჭოს სამუშაო პროცესში, წევრის სტატუსით;

- საანგარიშო წლის მანძილზე ხორციელდებოდა მართვის სისტემაში მოქმედი ორი (ძირითადი ცხელი ხაზი და ტექნიკური ცხელი ხაზი) სატელეფონო ცხელი ხაზის ადმინისტრირება.

  - ✓ მართვის სისტემის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, დაინტერესებული პირებისთვის სატელეფონო კონსულტაციების გაწევის მიზნით, ფუნქციონირებს ძირითადი სატელეფონო ცხელი ხაზი (სამუშაო ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ერთეულებში, ასევე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა (e-Flow) დანერგვასა და შემდგომ ადმინისტრირებას; მართვის სისტემის მიერ ადმინისტრირებადი ელექტრონული სისტემების ფუნქციონალის შესახებ კონსულტაციების გაწევას, ასევე ამ სისტემებში დაფიქსირებული ხარვეზების ან ინციდენტების შესახებ, სატელეფონო შეტყობინებებით მიღებული ინფორმაციის ასახვას შესაბამის ელექტრონულ სისტემაში და აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ ინფორმაციის უკუგებას, დაინტერესებული პირებისთვის.

  - ✓ ტექნიკური ცხელი ხაზი - (2-220200), რომლის კომპეტენციას წარმოადგენს ტექნიკური შინაარსის პრობლემებთან დაკავშირებით, განათლების სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფილის პერსონალისთვის კომპეტენტური სატელეფონო დახმარების გაწევა.